

თერთმეტი

ათი უცხოური ნოველისა და ერთი ზღაპრის თარგმანი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2019

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა ინგლისურიდან თარგმნეს XX საუკუნის მნიშვნელოვანი 11 მხატვრული ტექსტი. საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ბლოგი „11“, სადაც ატვირთულია 11 ტექსტის თარგმანი. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს ამ საიტზე და საკუთარი კომენტარი დატოვოს.

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი
ელენე აბაშიძე

რედაქტორი
ელენე სალარიძე

რედაქტორ-კორექტორი
მარინა ჟღენტი

რეცენზენტი
მაია ჩხეიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ზურა ცქირია

დიზაინი
ნოდარ სუმბაძე

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა,
2019

მისამართი: კოსტავას ქ. 77, თბილისი 0171, საქართველო.
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9644-4-2

დაიბეჭდა საქართველოში.

ედვინება ნელი საყვარელიძეს

განსაკუთრებული მადლობა პალიტრა L-ის რედაქტორს ელენე სალარიძეს, რომელიც დაგვეხმარა ამ პროექტის საუკეთესოდ წარმოჩენაში. დიდი მადლობა ყველას, ვინც მოიწონა და გააზიარა ჩვენი ნამუშევარი.

ელენე ლელი აბაშიძე

სარჩევი

ნინათქმა	vi
ქეთ ჩოპინი – კატერინა (კეიტ) ო'ფლაჰერტი შტორმი თარგმნა და კომენტარები დაურთო ხატია კარელიძემ	1
ლულუ უენგი კანკანი თარგმნეს მაია პაქსაშვილმა და მარიამ ადამიამ	8
შერვუდ ანდერსონი ძალა ღვთისა თარგმნეს თეონა ხარაულმა, ილონა შარამიამ და მზია ხოფერიამ	12
ჯეიმს ჯოისი ვევლინი თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ილონა ბარამიამ და თეონა ხარაულმა	20
ადელაინ ვირჯინია ვულფი მემკვიდრეობა თარგმნეს მარიამ გეგელიძემ და კატერინე ჯოხაძემ	27
ჰელენ სონდერსი ბებრის ყვავილობა თარგმნეს გვანცა ჩიხლაძემ და ნათია ფაციაძემ	36
აიზეკ აბიმოვი რა კარგი იქნებოდა მაშინ... თარგმნა იზაბელა ყუნძაყიშვილმა	41
სერ ართურ ჩარლზ კლარკი წყევლა თარგმნეს და კომენტარები დაურთეს თამარ ბაშარულმა და ლანა ჯალაღანიამ	47
ტომას ვულფი შორიდან და... ახლოს თარგმნეს ლიკა ჩიხლაძემ, ანა შაშვიაშვილმა და ლანა ბერიძემ	51
უილიამ სომერსეტ მოემი სტიქაროსანი თარგმნეს მარიამ ჯაფარიძემ და ვერიკო დუმბაძემ	57
თორმეტი მოცეკვავე პრინცესა თარგმნეს თეა დოლიძემ და ლიკა ლატარიამ	65

წინათქმა

ყველაფერი ასე დაიწყო...

ვსნავლობთ რთულ საგანს – მხატვრული თარგმანის თეორიას. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი და ბევრი სტუდენტები არიან, თავდაპირველად ვერაფრით დავაინტერესე. გულგრილად, უხალისოდ მისმენდნენ. ერთხელაც, მორიგი ლექციისას – „შეპირისპირებულ ენათა სისტემური სპეციფიკით დეტერმინირებული თარგმნითი ტრანსფორმაციები“ თავში მოულოდნელმა აზრმა გამიელვა და მაშინვე გამოვთქვი: – ხომ არ აჯობებს ჩვენი თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოვიყენოთ – ანუ თავად ვთარგმნოთ მხატვრული ტექსტები? ერთხანს გაჩუმდნენ, არ ელოდნენ მსგავს შეთავაზებას, მაგრამ მალევე თითქოს გამოფხიზლდნენ და წარმოუდგენელი ენთუზიაზმით ამყვინენ. რაღა თქმა უნდა, აღარ გადავდეთ და იმდღიდანვე დავიწყეთ თარგმანსა და „მთარგმნელობაზე“ ფიქრი.

დიდი გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდი, რადგან სტუდენტებისთვის უნდა შემეთავაზებინა მსოფლიოში გამორჩეული ინგლისურენოვანი მწერლების მცირე მოთხრობები, ნოველები... და თუ ახლა მათ თარგმანებს ნახავს მკითხველი, დარწმუნდება, რომ თითოეულმა შეძლო თავისი სათქმელი ეთქვა. მართალია, მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილ მათ წვლილზე ჯერ ფიქრიც გუბდმეტია, მაგრამ გეტყვით, რომ თანამედროვე ქართულ თარგმანში პირველი ნაბიჯებისთვის სამზადისი უკვე დაიწყეს...

ჩემი გეგმა საკმაოდ ამბიციური იყო:

1. სტუდენტები უნდა გაცნობოდნენ ცნობილი ინგლისურენოვანი მწერლების ტექსტებს ორიგინალში;
2. დახელოვნებულიყვნენ ისეთ რთულ ენობრივ ასპექტში, როგორცაა თარგმანი და მით უმეტეს, მხატვრული თარგმანი;
3. ურთულესი ტექსტები ადეკვატურად გადმოეტანათ ქართულ ენაზე.
4. და, რაღა თქმა უნდა, მკითხველისთვის უნდა მოწონებინათ თავი!..

ერთად დავიწყეთ თავდაუზოგავი შრომა – საათობით ვასწორებდით ტექსტებს, ხანდახან დაღლილობისგან ველარც კი ვაგრძელებდით მუშაობას, მოსვენება დავკარგეთ დღისით და ღამით. მაგრამ ბოლოს ყველამ ვაღიარეთ, რომ ეს იყო “სასიამოვნო ტანჯვა”.

თანდათანობით მძივებივით ვასხამდით წინადადებებს, აბზაცებს, დიალოგებს, თავბრუდამხვევ ამბებს, პერსონაჟების განცდებს, ვნებებს, სიყვარულს, სიძულვილს... ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ნამდვილ მწერალთა ნააზრევთან, ნამდვილ ლიტერატურასთან მივყავართ...

ვცდილობდით შეგვენარჩუნებინა ავტორთა სტილი, განწყობა, გემოვნება, ის განსაკუთრებული მაგია, რაც სტრიქონებს შორის იკითხება და რასაც ლიტერატურა ჰქვია.

ასე დაიბადა ქართული ლიტერატურული სივრცისთვის 10 მსოფლიო მოთხრობა და ერთიც ზღაპარი. ჰოდა, ყველაფერი ეს შევკრიბეთ და დიდი სურვილი გვაქვს, თქვენთვის წიგნად გამოვცეთ, ძვირფასო მკითხველო.

2018 წელი ხომ წიგნის წლად არის აღიარებული!

რა თქმა უნდა, სტუდენტთა თარგმანებს ლიტერატურულ „კალაპოტში“ მოქცევა სჭირდებოდა. ჰოდა, ამ მოთხრობებსა და ზღაპრის გაშალაშინება გამოცდილ რედაქტორს ელენე სალარიძეს მივანდეთ, რომლის ესესაც ჩვენს თარგმანებზე ქვემოთ წარმოგიდგენთ.

უცხოური ნოველები, ზღაპრით დასრულებული

მსოფლიოში პოპულარული ნოველების თავგადასავალი

ესე ახალბედა სტუდენტ-მთარგმნელებსა და მათ პროფესორზე, რომელთაც თერთმეტი ინგლისურენოვანი რჩეული ნაწარმოები შემატეს თანამედროვე ქართულ ნათარგმნ ლიტერატურას.

საქართველოს უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ევროპული ენებისა და ფილოლოგიის მიმართულების პროფესორმა ელენე-ლელი აბაშიძემ და მისმა სტუდენტებმა, მხატვრული თარგმანის თეორიის კურსის გავლისას გადანყვიტეს პრაქტიკულადაც განეხორციელებინათ ოცნებად ქცეული სურვილი – ეთარგმნათ ინგლისურენოვან მწერალთა რჩეული ნაწარმოებები.

– მიყვარს ჩემი სტუდენტები და მინდოდა ერთად რამე ღირებული შეგვექმნა. ჩემმა იდეამ, ეთარგმნათ მათთვის საყვარელი ნაწარმოებები, ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომ ნამდვილად არ მოველოდი. არ იყო ადვილი ურთულეს ნაწარმოებებთან „შეჭიდება“ – ხან ჩემთან მოდიოდნენ დასახმარებლად, ხან ერთმანეთს უკითხავდნენ, ერთად თარგმნიდნენ, ერთად კითხულობდნენ, მსჯელობდნენ, რამდენიმე ვარიანტიდან საუკე-

თესოს არჩევდნენ... ბოლოს კი, როცა ყველაფერს თავი მოვუყარეთ, გაჩნდა ახალი სურვილი – წიგნად გამოგვეცა სტუდენტთა შემოქმედება და ფართო მკითხველისთვისაც წარგვედგინა. ღელავენ, რა თქმა უნდა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მკითხველს გულნაკლულს არ დავტოვებთ... – მიაძობს ლელი (ასე ეძახიან სტუდენტები თავიანთ მეგობარ პროფესორს) და თვითონაც თავისი სტუდენტებივით ღელავს...

ლელი აბაშიძე იმასაც მეუბნება, რომ შესაძლოა ამ გოგონებიდან მთარგმნელის ურთულესი გზა არც ერთმა არ აირჩიოს, მაგრამ დარწმუნებულია, არასოდეს დაავიწყდებათ ის ემოციურად დატვირთული დღეები და ახალი სიტყვებისა თუ დედანს მისადაგებული ფრაზების ძიებაში გათენებული ღამეები... თანაც, არაჩვეულებრივ მწერლებთან მოუწიათ „გაშინაურებამ“.

ჰოდა, ახლა სწორედ ამ მწერლებსა და მათ ნაწარმოებებს გაგაცნობთ:

► ქალის იდუმალი ცხოვრების გამხელილ დეტალებზე წერა არც ისე იოლია. მით უფრო, ექვსი შვილის დედისთვის, რომელსაც ქმარი ადრე დაეღუპა. ამერიკელი ფემინისტი მწერალი ქეთი ჩოპინი XIX საუკუნის დასასრულს რომანისთვის „გამოღვიძება“ ოჯახური სინძინდის შებღალვის ნამხალისებლად მიიჩნევს. ამიტომაც იყო, რომ კეიტმა ვერ გაბედა სიცოცხლეში დაებეჭდა თავისი ერთი სექსუალურად თამამი მოთხრობა, რომელსაც „შტორმი“ ჰქვია.

„შტორმში“ კი ერთ მხარეს სწორედაც შტორმში მოყოლილი მამა-შვილის ამბავია მოთხრობილი, მეორე მხარეს – მათი მომლოდინე ოჯახის დიასახლისისა, ამ შტორმშივე რომ გადაეყარა ქალიშვილობის დროინდელ სატრფოს... ერთი სიტყვით, მძაფრი სიუჟეტია, ჩვენს მთარგმნელებს რომ შეურჩევიათ და მკითხველისთვის ამ ავტორის სხვა ნაწარმოებთა ნაკითხვის სურვილიც გაუჩენიათ (დარწმუნებული ვარ, ასე იქნება!).

ყველაფერს კი თითქოს ფარდას ხდის Assumption-ი – მოთხრობაში მოხსენიებული პატარა ქალაქი, სადაც მოთხრობისვე გმირებმა ალსიმ და ქალიქსტამ პირველად აკოცეს ერთმანეთს. ქალაქის სახელს აქ რელიგიური დატვირთვაც აქვს და უკავშირდება პირველ სიყვარულსა და უმანკობას...

► ჩემთვის, როგორც რედაქტორისთვის და რიგითი მკითხველისთვის, ნამდვილი აღმოჩენა იყო ლულუ უენგი – ჩინური წარმომავლობის ინგლისურენოვანი თანამედროვე მწერალი ქალი, რომელიც ნიდერლანდებში ცხოვრობს. დღეს მსოფლიო ბესტსელერთა შორის

ერთ-ერთ პირველ ადგილზე სწორედ მისი წიგნებია. მისი სადებიუტო ავტობიოგრაფიული რომანი „The Lily Theatre“ კი სულაც 8 მილიონი ტირაჟით გაყიდულა.

ჩვენმა მთარგმნელებმა მისი ერთი ძალიან პატარა ნოველა თარგმნეს, რომელსაც „კანკანი“ ჰქვია. იგი ისეთივე მძაფრი, ვნებიანი და მიმზიდველად საკითხავია, როგორც თავად ცეკვა, რომლის სახელიც ავტორს ამ ნოველისთვის დაურქმევია.

► შერვუდ ანდერსონი – გასული საუკუნის ამერიკელი ნოველისტი და მოდერნიზმის გამორჩეული წარმომადგენელი ერთი უბადრუკი, ცოდვილი პასტორის ხორციელ ვნებებს ისე აღწერს, რომ შენც ხმამაღლა იმეორებ ბიბლიურ შეგონებას, რომ „შეუცნობელია გზანი უფლისანი“... და ეს ვნებები ჩვენამდე მოდის იმ რწმენითა თუ ურწმუნობით, რომლითაც სავსეა პასტორის სული, და რომელიც ეძებს სინათლეს! პოულობს კი? ამაზე აღარაფერს გეტყვით... ამაზე ნოველაში წაიკითხავთ, რომელსაც „ძალა ღვთისა“ ჰქვია...

► იფიქრებდით, რომ ჯეიმს ჯოისის უკვე კარგად ნაცნობი ნოველების კრებულის „დუბლინელების“ მშვენებას – „ეველინს“ შეჰბედავდნენ დამწყები მთარგმნელები? მით უფრო, რომ იგი ერთხელ უკვე ითარგმნა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ... შეჰბედეს! და არც შემცდარან! მშვენიერი თარგმანი გამოუვიდათ. არადა, როგორია, ჰომეროსის „ოდისეის“ თანამედროვე ვარიანტის – „ულისეს“ ავტორთან მიახლოება! დიახ, ამჯერად მართლა გამოუვიდათ, თუმცა კი ერთი უიღბლო სიყვარულის ამბის ჩვენამდე მოტანამ მოუწიათ. მაგრამ რატომ უიღბლო! ეველინმა ხომ თავისი მშობლიური ქალაქი არ (ვერ!) მიატოვა. „რა უცნაურია, ორღანის ხმა სწორედ ამ საღამოს მოესმა ასე მძაფრად, რამაც დედისთვის მიცემული პირობა გაახსენა – პირობა, რომ აქაურობა, თავისი სახლი არ მიეტოვებინა. ეველინს გაახსენდა მომაკვდავ დედასთან ერთად გატარებული უკანასკნელი საღამო...“ – ვკითხულობთ და აღარ გვიკვირს, რატომ არ გაჰყვა უცხო ქვეყანაში საყვარელ მამაკაცს ევი.

ამ მოთხრობით XX საუკუნის ზეპოპულარულმა ირლანდიელმა მწერალმა და პოეტმა თითქოს ხარკი გადაუხადა თავისი მიტოვებული მშობლიური დუბლინის ნოსტალგიას.

► ვირჯინია ვულფი – გასული საუკუნის ინგლისელი მწერალი, არატრადიციული და რთული ბიოგრაფიის მქონე ქალი, რომელმაც XX საუკუნის ერთ-ერთი ახალი მხატვრული ხერხის, „ცნობიერების ნაკადის“

საშუალებით შეძლო აღენერა ადამიანის სამყარო ბევრად უფრო ღრმად და დაწვრილებით, ვიდრე ეს ტრადიციული ლიტერატურული საშუალებებით ხდებოდა.

ალბათ დიდი გამბედაობა სჭირდებოდა ვირჯინია ვულფის „მემკვიდრეობის“ თარგმნას. ახალგაზრდა მთარგმნელებს, ეტყობა, გაუჭირდათ კიდევ ერთ პატარა ნოველაში თავმოყრილი უმძაფრესი ფსიქოლოგიური განცდების აღქმა, გაანალიზება და ფურცელზე ქართულად გადმოტანა... საბედნიეროდ, მთარგმნელებმა ესეც წარმატებით შეძლეს. ამაში კი თქვენც მალე დარწმუნდებით.

► ინგლისელი ჰელენ სონდერსის შესახებ ჩვენთვის ბევრი არაფერია ცნობილი. მისი ნოველა „ბებრის ყვავილობა“ სტუდენტთა სასწავლო პროგრამაშია შეტანილი და თავისთავად საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდავი ნაწარმოებია. ეტყობა, ამიტომაც შეარჩიეს სათარგმნად და არცთუ ისე ცუდად გამოუვიდათ. და როგორც ამ ნაწარმოებშია, მართლაც, „ყოველდღე ხომ არ ვპოულობთ ნამდვილ ბებიას!..“.

► აიხვე აზიმოვი – რუსი-ამერიკელი ებრაელი დიდი მეცნიერიც იყო, უპოპულარესი „ფენტების“ ჟანრის მწერალიც, მაგრამ მაინც უიღბლო: 1983 წელს გულის ოპერაცია გაუკეთეს და შიდსის ვირუსი „აჰკიდეს“, რითაც გარდაიცვალა კიდევ...

კრებულში ახალბედა მთარგმნელებმა მისი ერთ-ერთი მოთხრობა შეიტანეს და არც შემცდარან: ამ მოთხრობის („რა კარგი იქნებოდა მაშინ...“) გმირი გოგო-ბიჭები მომავლის ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც მარჯის ბაბუას ისიც უთქვამს, – როცა იგი პატარა ბიჭი ყოფილა, მისი დიდი ბაბუა უამბობდა, რომ ისეთ დროსაც მოსწრებია, როდესაც ყველა მოთხრობა ფურცელზე იბეჭდებოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა რამ შესძლებია „ფენტებს“? თუმცა კი წიგნის სიყვარული მწერალსა და მის მთარგმნელ ქართველ სტუდენტებსაც პირველ რიგში დაუყენებიათ...

► ეს სასწაული ამბავი ერთ პატარა ბრიტანულ ქალაქ სტრეტფორდ-ონ-ეივონში დატრიალდა. ქალაქი, არც მეტი, არც ნაკლები, ატომური ბომბების აფეთქებამ იმსხვერპლა... დიდი უილიამ შექსპირის თაყვანისმცემლებს ალბათ შეგეშინდათ კიდევ, ამ ქალაქში ხომ გენიალური ტრაგიკოსის საფლავია! დამშვიდდით, ეს მხოლოდ ფანტასტიკურ მოთხრობაში მოხდა, რომელიც სტუდენტ-მთარგმნელებს თქვენთვის წარსადგენად შეურჩევიათ.

ნოველის, რომელსაც „წყევლა“ ჰქვია, ავტორი თვით დიდი სერ ართურ ჩარლზ კლარკია — ცნობილი ბრიტანელი მწერალი, რომელიც ამ ათი წლის წინათ გარდაიცვალა 91 წლის ასაკში და მსოფლიო ლიტერატურას თავი გამორჩეულად დაამახსოვრა სწორედ შექსპირის წყევლიანი ეპიტაფიის მისეული დანახვით. როგორია ეს მისეული ხედვა, ამასაც მშვენივრად გადმოქართულებული სტრიქონები გიამბობენ.

► ვფიქრობ, ადვილი არ არის იმედგაცრუების ტკივილი. ეს ტკივილი გასდევს ლაიტმოტივად თანამედროვე ამერიკელი ავტორის, ამერიკულ ჟურნალისტიკაში მიმდინარეობა „ახალი ჟურნალიზმის“ წარმომადგენლის ტომას ვულფის ერთ პატარა მოთხრობას.

„შორიდან და... ახლოს“ – ასე ჰქვია ამ მოთხრობას და დამაინტრიგებლად მოგვითხრობს ერთი ჩქარი მატარებლის მემანქანის ოცნლიანი ოცნების ერთ დღეში გაქრობის ამბავს.

ნახეთ, როგორი სიმძაფრითაა აღწერილი და უკვე ჩამოყალიბებულ მთარგმნელთა მიერ ჩვენამდე მოტანილი განცდა: „აქამდე ეს მინა, რომელიც არასოდეს ეხილა, ახლობელი და სანატრელი ეჩვენებოდა... ახლა კი... და მემანქანე მიხვდა, რომ ის ნათელი და მაგიური ხედი მატარებლიდან...“ აღარ გავაგრძელებ, თავადვე წაიკითხეთ და განიცადეთ...

► გასულ საუკუნეში ერთ ინგლისელ ძალზე შეუხედავ, ენაბლუ მწერალსა და დრამატურგს მსოფლიოში ყველაზე მაღალ ჰონორარს უხდიდნენ. მას სომერსეტ მოემი ერქვა. მთელი ცხოვრება კი იმაზე დარდობდა, რომ უსახურ მამას დაემსგავსა და საფრანგეთში დაბადებულსა და დაობლებულს, ინგლისში ჩასვლისას ინგლისურის სწავლა არა მხოლოდ გაუჭირდა, არამედ სიცოცხლის ბოლომდე ენაბლუ დარჩა. სამაგიეროდ, მის ნაწარმოებებს არასოდეს მოჰკლებია მკითხველი, რომელთაც ასევე არასოდეს უფიქრიათ მის ფიზიკურ ნაკლებს. მის წიგნებს კი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ახლაც თარგმნიან და მისი ნაწარმოებები ახლაც უამრავ მკითხველს იზიდავს.

ეტყობა, ამიტომაც შეარჩიეს სათარგმნად მისი პოპულარული ნოველა „სტიქაროსანი“. მერწმუნეთ, ეს სარკაზმითა და მოულოდნელობით აღსავსე ამბავი გულგრილს არავის დატოვებს.

► როგორც ყველა ზღაპარში, აქაც ყველაფერს კეთილი ბოლო აქვს. „თორმეტი მოცეკვავე პრინცესა“ ტყუილად კი არ უყვართ ინგლისელებს. ახლა, როცა თქვენც წაიკითხავთ ჩვენი ნიჭიერი ახალბედა მთარგმნელების

ქართულ საბურველშემოხვეულ ონავარი მოცეკვავე პრინცესებისა და ერთი დაჭრილი, მამაცი, ღარიბი მეომრის თავგადასავალს, თქვენც გაამხიარულდებით.

* * *

ამგვარად, ჩვენს ესესაც ზღაპრის ბოლოსავით კეთილად ვასრულებთ. ესე, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტის ახალგაზრდა მთარგმნელთა და მათი მხატვრული თარგმანის პედაგოგის მორიგ შემოქმედებით წარმატებას ეძღვნება, და რომელიც თერთმეტ ერთმანეთისგან განსხვავებულ ინგლისურენოვან შთამბეჭდავ ნაწარმოებს ქართულად წარმოგვიდგენს...

აი, ისინიც: პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი ელენე-ლელი აბაშიძე; სტუდენტი-მთარგმნელები: ილონა ბარამია, იზაბელა ხუნდაყიშვილი, თამარ ბაშარული, ლანა ჯალალანია, თეონა ხარაული, ხატია კარელიძე, მარიამ ჯაფარიძე, ვერიკო დუმბაძე, ლანა ბერიძე, ლიკა ჩიხლაძე, ანა შაშვიაშვილი, ეკატერინე ჯოხაძე, მარიამ გაგელიძე, მზია ხოფერია, მარიამ ადამია, მაია პაქსაშვილი, გვანცა ჩიხლაძე, თეა დოლიძე, ნათელა ფაცია, ლიკა ლატარია.

ელენე სალარიძე,

გამომცემლობა „პალიტრა I“-ის რედაქტორი,

წიგნის რედაქტორი

ქეით ჩოპინი - კატერინა (კეიტ) ო'ფლაჰერტი



ამერიკელი მწერალი და ფემინისტი ქეით ჩოპინი - კატერინა (კეიტ) ო'ფლაჰერტი (1850-1904) მისურის შტატის ქალაქ სენტ ლუისში დაიბადა. ირლანდიურ-ფრანგულ ოჯახში ერთ-ნაირად ფლობდა ინგლისურ და ფრანგულ ენებს (დედა ფრანგი ჰყავდა). მის ოჯახში იგრძნობოდა ორი სხვადასხვა ეთნოსისა და განსხვავებული ღირებულებების შერწყმა.

1870 წელს ოსკარ ჩოპინზე იქორწინა და 6 შვილიც გააჩინა. მეუღლე ადრე გარდაეცვალა და მარტოს მოუწია ოჯახის გაძღოლამ. უკვე დიდი შვილები ჰყავდა, როცა 1890 წელს მისი პირველი ნოველა "დამნაშავე" გამოქვეყნდა.

მის შემოქმედებაში შესამჩნევია ფრანგული ცხოვრებისა და ლიტერატურის ზეგავლენა. სკანდალური გამოდგა მისი რომანი „გამოღვიძება“, რომლის ავტორიც ოჯახური ერთგულების მოწინააღმდეგედ მიიჩნიეს. ამის შემდეგ მოკლე მოთხრობებს წერდა. ერთ-ერთი მოთხრობა იყო „შტორმი“, რომელიც სექსუალური შინაარსის გამო ქეიტს არ გაუგზავნია გამომცემლობისთვის და ეს მოთხრობა მწერლის სიცოცხლეში არც დაბეჭდილა.

ნორვეგიელი კრიტიკოსი პერ სეიერსთიდი ქეით ჩოპინზე წერდა: „ის იყო პირველი ქალი მწერალი თავის ქვეყანაში, რომელმაც „ვნება“ უთქმელი ხელოვნების საგნად აქცია. მან გაილაშქრა ტრადიციებისა და ავტორიტეტების წინააღმდეგ, გაამხილა ქალის იდუმალი ცხოვრების დეტალები“.

შტორმი

პატარა ბიბი ფიქრობდა, რომ ფოთლების უცნაურ სიმშვიდეს აუცილებლად წვიმა მოჰყვებოდა. მამამისმა ბობინუმ კი, ხშირად დიდ დროს რომ უთმობდა შვილთან ურთიერთგაგების თემაზე მსჯელობას, ამჯერად ბავშვის ყურადღება მიაპყრო დასავლეთიდან მომავალ ავისმომასწავებელ მოქუფრულ ღრუბლებს, რომელთაც შემადრწუნებელი ჭექა-ქუხილი მოჰყვა. მამა-შვილი ფრედაიმერის მაღაზიის კართან ცარიელ კასრებზე ჩამოსხდნენ და გადანყვიტეს შტორმის ჩადგომამდე მოეცადათ. ბიბი მხოლოდ 4 წლისა იყო და ასაკთან შედარებით ჭკვიანიც.

- დედას შეეშინდება! - წამოიძახა თვალებანთებულმა.

- ჩაკეტავს კარს. შეიძლება სილვიც დაეხმაროს ამ საღამოს... - დარწმუნებით უთხრა ბობინუმ.

- არა, სილვი ხომ გუშინ ეხმარებოდა დედას, დღეს აღარ მოვა, - თქვა ბიბიმ.

ბობინუმ დახლს მიაშურა, სადაც მისი ცოლის, ქალიქსტას საყვარელი კრევეტების კონსერვი იყიდებოდა. რამდენიმე წუთში კრევეტების კონსერვით ხელში ბანტად ჩამოჯდა კასრზე და... შტორმიც ამოვარდა! შტორმმა გვარიანად შეაქანა ხის მაღაზია და სადღაც შორს, მინდორიც დაღარა. ბიბის პატარა ხელი მამის მუხლზე დაედო და თავსაც არხეინად გრძნობდა.

სახლში კი ფანჯარასთან მჯდომი ქალიქსტა საკერავ მანქანას ჩაჰკირკიტებდა, გაფაციცებით კერავდა და ქმარ-შვილზე არც კი ღელავდა. იმდენად გართულიყო კერვით, რომ ვერც კი შენიშნა მოახლოებული შტორმი. ქალს დასცხა და საყულო შეიხსნა. დროდადრო ჩერდებოდა და სახიდან ოფლს ინმენდდა.

ბინდებოდა... ქალიქსტა სწრაფად წამოდგა ფანჯრებისა და კარის დასაკეტად.

დერეფნის წინ, ბობინუს საკვირაო ტანსაცმელი ეკიდა გასაშრობად და ქალიქსტა ჩქარობდა მათ ჩამოსხნას წვიმის დაწყებამდე. როგორც კი შესასვლელისკენ გადადგა ნაბიჯი, ალსი ლაბალიერი შემოვიდა. გათხოვების შემდეგ ქალიქსტა ალსის იშვიათად ნახულობდა, მართო კი

ლულუ უენგი



ლულუ უენგი (დაბ. 1960 წ.) – ჩინური წარმომავლობის ინგლისურენოვანი მწერალია. იგი პეკინში დაიბადა და უნივერსიტეტის პეკინშივე დაასრულა, ოღონდ ყველა საგანს ინგლისურად სწავლობდა. 1986 წლიდან ცხოვრობს ნიდერლანდებში და მხოლოდ 26 წლის ასაკში ისწავლა მშობლიური ჩინური ენა მაასტრიხტის უნივერსიტეტში.

ლულუ უენგმა 1997 წელს გამოაქვეყნა ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანი „The Lily Theatre“, რომელიც 8 მლნ ტირაჟით გაიყიდა და მწერალ ქალს ნიდერლანდებში საუკეთესო დებიუტანტის წოდება მოუპოვა.

არანაკლები წარმატება მოუტანა 2010 წელს გამოსულმა რომანმა „Wilde rozen“ („ველური ვარდი“), რომელიც მის ჩინეთში ცხოვრებას ასახავს. არაერთი ბესტსელერის ავტორის ლულუ უენგის წიგნები ნიდერლანდებში დღესაც ყველაზე დიდი ტირაჟით იბეჭდება.

კანკანი

- სულ ცოტა ხნით გავალ, კარგი? - უთხრა ცოლს საქმიანი იერით და დასძინა, - ერთ-ორ საათში დავბრუნდები...

იგი შინიდან ფოსტაში ან მაღაზიაში წასასვლელად გადიოდა ხოლმე, უმეტეს დროს კი ჩხირკედელაობაში ატარებდა. ამიტომაც იყო, ცოლი პოპულარულ სახელს - მისტერ მასტერს ეძახდა. თანაც, თავს მხატვრობითაც ირჩენდა.

- ძალიან კარგი, წადი... - გაუღიმა ცოლმა ისე, თითქოს ანგარიშს უწევდა. სინამდვილეში ცოლს არ უყვარდა როცა ქმარი შინიდან მიდიოდა. არ უყვარდა მის გარეშე ყოფნა, რადგან ქმართან ერთად თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. თანაც, ის ხომ ბავშვების მოვლაშიც ეხმარებოდა, განსაკუთრებით უმცროსის.

- გიხარია თავიდან რომ მიშორებ?! - გაუკვირდა კაცს.

- უუჰ, რას ამბობ!.. - წამოიძახა ქალმა ისეთი ვნებიანი ღიმილით, ავ თვალს რომ არ ენახვებოდა!

არა, ცნობისმოყვარე ცოლს არასდროს უკითხავს თუ სად მიდიოდა ქმარი. თავის ეჭვიანობასაც საკმაოდ მოხერხებულად ნიღბავდა.


ქმარი თან პალტოს იცვამდა, თან თვალი ცოლისკენ გაურბოდა. ქალი უფროს ქალიშვილთან ერთად მისაღებ ოთახში იდგა.

- დედა, მოდი, იცეკვე კანკანი. შენ ხომ ყველაზე ლამაზად ცეკვავ... - გაისმა გოგონას ხვეწნანარევი ხმა.

ამის თქმა იყო და ქალი ვნებიანად აცეკვდა. ლამაზ ფეხებს მოხდენილად აქნევდა ზევით-ქვევით. აშკარად თავს არ იზოგავდა ქმრის ყურადღების მისაქცევად...

კაცი უბრალოდ სასეირნოდ კი არ მიდიოდა, არამედ კაფეში, სარასთან შესახვედრად. ცოლი სარას იცნობდა, თუმცა მასზე არ ეჭვიანობდა. არც უფიქრია, რომ ქმარი მასთან უღალატებდა. არადა, კაფედან სარასთან ერთად ტბის პირას, საბაფხულო კოტეჯში უნდა წასულიყო. გასაღებიც თან ჰქონდა.

შერვუდ ანდერსონი



შერვუდ ანდერსონი (1876-1941) - ამერიკელი ნოველისტი, მოდერნიზმის

გამორჩეული წარმომადგენელი. დაიბადა ფილადელფიის ქალაქ კამდენში. ერვინ და ემა ანდერსონების შვიდიდან მესამე შვილს ადრეული ასაკიდან მოუწია თავისა და ოჯახის რჩენაზე ზრუნვამ, რის გამოც სკოლა 14 წლისამ მიატოვა. მოგვიანებით შეძლო კოლეჯის დასრულება და ესეებისა და მოთხრობების წერაც დაიწყო.

პირველი წარმატება მოუტანა მოკლე მოთხრობების კრებულმა, „უაინსბურგი, ოჰაიო“ (1919), რომლის მთავარი გმირები შეუმდგარი პიროვნებებია. მწერალმა

უარი თქვა მაშინდელი ნოველებისთვის დამახასიათებელ ხელოვნურ სიუჟეტსა და სტანდარტულ გამოსახულებებზე. მისი წერის მარტივ და ლაღად აღსაქმელ სტილს პოპულარობა მოჰყვა. მეტიც, მისი ნოველები ამერიკულ პროზაში მოდერნიზმის საწყისად მიიჩნევა.

პირად ცხოვრებაში არ უმართლებდა. მხოლოდ სამი განქორწინების შემდეგ იპოვა ელეანორ კოპენჰავერი, რომელსაც უძღვნა რომანი „სურვილის მიღმა“. წყვილს მოგზაურობა ხიბლავდა და მორიგი კრუიზისას, როცა ხომალდით სამხრეთ ამერიკისკენ მიცურავდნენ, ანდერსონი ცუდად გახდა. ნაპირზე გადმოიყვანეს და პანამის ქალაქ კოლონის კლინიკაში გარდაიცვალა. გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ მარტინის კოქტეილის სმის ან საუზმობისას საბედისწერო კბილსაჩიჩქნი გადაუყლაპავს, რამაც პერიტონიტი გამოიწვია...

იგი დაკრძალეს ვირჯინიის ქალაქ მარიონში, რაუნდ ჰილის სასაფლაოზე. მისი საფლავის ეპიტაფიაზე წერია: „სიცოცხლე, და არა სიკვდილი არის დიდი თავგადასავალი“.

შერვუდ ანდერსონის ბოლო სახლი ვირჯინიის ქალაქ ტრაუტდეილში 1971 წელს ეროვნულ ისტორიულ ღირსშესანიშნაობად გამოაცხადეს.

ძალა ღვთისა

მეუფე კურთის ჰარტმენი, ვაინსბურგის პრესვიტერიანული ტაძრის პასტორი, ათი წელიწადია ამ ტაძარში მსახურობდა. ბუნებით მშვიდ და თავშეკავებულ 40 წლის ჰარტმენს მუდამ ეძნელებოდა კათედრიდან მრევლის წინაშე ქადაგება. ოთხშაბათ დილიდან შაბათ საღამომდე მხოლოდ საკვირაო ქადაგებაზე ფიქრობდა. კვირა დილას ადრინად შედიოდა ტაძრის სამრეკლოს პატარა სამლოცველოში და ლოცულობდა. მის ლოცვაში ხშირად მეორდებოდა ფრაზა: „უფალო, მომმადლე ძალა და მხნეობა, რომ გემსახურო“. მუხლმოყრილი ევედრებოდა და ეთაყვანებოდა უფალს, დახმარებოდა თავისი მოვალეობის პირნათლად აღსრულებაში.


მეუფე ჰარტმენი, მაღალი, მუქწვერა მამაკაცი იყო. ხოლო მისი ცოლი მსუქანი, ჭირვეული ქალი, თეთრეულის მენარმის ქალიშვილი კლივლენდიდან. პასტორი მთელ ქალაქში გამოირჩეოდა თავისი სიმშვიდითა და უპრეტენზიოობით, ტაძრის უხუცესებსაც სწორედ ამიტომ მოსწონდათ იგი, ბანკირის ცოლი - მისის ვაითი კი დიდად განსწავლულ და დახვეწილ მამაკაცად მიიჩნევდა.

* * *

პრესვიტერიანული ტაძარი, რატომღაც, ვაინს-ბურგის სხვა ტაძრებისგან განცალკევებით იდგა. მათზე გაცილებით დიდი და შთამბეჭდავი იყო, ხოლო მის პასტორს სხვა ტაძრების მაღალ სასულიერო პირებზე ბევრად მეტს უხდინდნენ. საკუთარი ეტლიც ჰყავდა და ბაფხულში საღამოობით, მეულესთან ერთად სეირნობდა ქალაქის შემოგარენში, მეინსტრითის გავლით ბაქის ქუჩაზე. დიდსულოვნად ესალმებოდა შემხვედრთ, ხოლო მისი ცოლი იდუმალი სიამაყით აღმოდებული დაბნეული შეჰყურებდა ქმარს. ნერვიულობდა, ვაითუ ცხენს შეეშინდეს და დაფრთხდესო.

ვაინსბურგში გადმოსვლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში კურთის ჰარტმენის საქმეები კარგად მიდიოდა. მართალია, ის კაცი არ ყოფილა, მრევლში რომ ენთუზიაზმს იწვევდა, თუმცა, მეორე მხრივ, არც მოწინააღმდეგეები ჰყოლია. სინამდვილეში იგი ძალიან სერიოზული

ჯეიმს ჯოისი



ჯეიმს ჯოისი (1882-1941) – XX საუკუნის გავლენიანი ირლანდიელი მწერალი და პოეტი. დაიბადა კათოლიკეთა ოჯახში, დუბლინის გარეუბანში. 16 წლისამ კათოლიციზმი უარყო, თუმცა თომა აქვინელის ფილოსოფიის ერთგული დარჩა.

1904 წელს ჯოისი მეუღლესთან, ნორა ბარნაკლთან ერთად გაემგზავრა ციურიხში. წყვილს ორი შვილი ჰყავდა – ჯორჯიო და ლუჩია. ლუჩიას შიზოფრენია ტანჯავდა, რასაც მწერალი სასჯელად აღიქვამდა „ულისეს“ დაწერის გამო. „ულისე“ ჰომეროსის „ოდისეას“ თანამედროვე ვარიანტია, რომლის გამოქვეყნებაც იმდენად სკანდალური გამოდგა, რომ გამომცემლები დააპატიმრეს, ხოლო ნოველა 1934 წლამდე მთელ მსოფლიოში აკრძალეს... მიუხედავად იმისა, რომ ჯოისმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი ირლანდიის საზღვრებს გარეთ გაატარა, მისი მწერლური სამყარო ყოველთვის ეყრდნობოდა მშობლიურ დუბლინს – ქალაქს, რომელიც წარმოადგენდა მისი შემოქმედებითი სამყაროს მთავარი მოქმედების ადგილს.

ჯეიმს ჯოისი 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ციურიხში, ფლუნტერნის სასაფლაოზე.

ჯეიმს ჯოისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ნოველების კრებული „დუბლინელები“, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისის დუბლინის ერთგვარი მათიანეა. „ეველინიც“ ამ მათიანეს ერთი ნაწილია.

ეველინი

ეველინი ფანჯარასთან იჯდა და გაჰყურებდა, როგორ ეუფლებოდა დღამე ხეივანს. თავი ფარდაზე მიეყრდნო და ნესტოები მტვრიანი კრეტონის¹ სუნით გაჟღენთოდა. ეველინი დაღლილიყო.

რამდენიმე გამვლელმა ჩაიარა. ბოლო სახლთან მამაკაცი გამოჩნდა. ეველინს ესმოდა, როგორ ენერგიულად მიაბიჯებდა იგი ქვაფენილზე, გზას ახალი, წითელი სახლების წინ აგრძელებდა და მალე ფეხის ხმაც მიჩუმდა. ოდესღაც კი იმ ადგილას მინდორი იყო, სადაც ევი ხშირად თამაშობდა ბავშვობისას, თანატოლებთან ერთად.

ამბობენ, ბელფასტელმა კაცმა შეისყიდა ეს მინდორიო. მალე სახლებიც ააშენა. აქაურ მკვიდრთა პატარა, უფერული ყავისფერი სახლების მსგავსი კი არა, დიდი, ნათელი აგურის სახლები პრიალა სახურავებით.

მაინც გული სწყდებოდა იმ მინდორზე. იქ ხომ მთელი დასახლების ბავშვები ერთად თამაშობდნენ ხოლმე – დივინები, უოთერსები, დანსები, პატარა ხეიბარი კიო, ეველინი და მისი და-ძმებიც. თუმცა ერნესტს, უფროს ძმას რომ მათთან ეთამაშოს, არ ახსოვს, – მეტისმეტად მონიფული იყო საამისოდ.

მამა ხშირად წაადგებოდა თავს თამაშში გართულ ბავშვებს ეკლიანი ნკეპლით ხელში, მთელ დღეს მინდორში ატარებთო, მაგრამ ნკეპლა არასდროს მოხვედრიათ, რადგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გოგობიჭებს პატარა კიო ყვირილით ატყობინებდა ხოლმე და ატყდებოდა ერთი ჟივილ-ხივილი. ერთმანეთს ასწრებდნენ მინდვრიდან. მიუხედავად ყველაფრისა, პატარები მაინც ბედნიერნი ჩანდნენ. არც ისეთი ცუდი იყო ეველინის მამა. თან, მაშინ დედაც ცოცხალი ჰყავდათ... ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო. ეველინი და მისი და-ძმები უდებოდ გაიზარდნენ. გოგონას ბავშვობის მეგობარი თიზი დანიც გარდაცვლილიყო, უოთერსები ინგლისში დაბრუნებულიყვნენ. რას იზამ, დრო გადის, ყველაფერი იცვლება. ახლა ეველინიც აპირებდა სხვების მსგავსად სახლის მიტოვებას.

სახლი! ეველინმა ოთახი მოათვალიერა. თვალი ნაღვლიანად შეავლო ყველა ნაცნობ ნივთს. იმ ნივთებს, რომელთაც წლების განმავლობაში კვირაში ერთხელ მაინც აკრიალებდა. ყოველთვის აოცებდა, საიდან გროვდებოდა ამდენი მტვერი... ამიერიდან კი, ვინ იცის, იქნებ

¹ აქ შელებილი ნართისგან დამზდებული მკვრივი საფარდე ქსოვილი.

ადელაინ ვირჯინია ვულფი



ადელაინ ვირჯინია ვულფი, ქალიშვილობის გვარი სტეფენი (1882-1941) - ინგლისელი მწერალი და ესეისტი XX საუკუნის მოდერნისტული ლიტერატურის სახელგანთქმული წარმომადგენელია.

დაიბადა ლონდონში, მწერლისა და კრიტიკოსის ლესლი სტეფენისა და ჯული ჯექსონის ოჯახში. 13 წლისას დედა გარდაეცვალა, მანამდე კი მისი გაუპატიურება სცადეს. ამ ყველაფერმა ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა და მამაკაცისადმი შიში მთელი ცხოვრება ტანჯავდა. უნივერსიტეტში არ უსწავლია, მაგრამ საფუძვლიანი განათლება მიიღო. 1905 წლიდან „თაიმის“ ლიტერატურულ დამატებაში დაიწყო წერა და აქედან მოყოლებული, კალამი არ დაუდია.

1912 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტდამთავრებულ ლეონარდ ვულფზე იქორწინა, მაგრამ წყვილი უფრო მეგობრები იყვნენ, ვიდრე მეუღლეები. მათ ერთად დააარსეს გამომცემლობა „ჰოგარტ პრესი“, სადაც ვირჯინიას რომანები იბეჭდებოდა.

1922 წელს ვიტა სეკვილ-უესტი შეუყვარდა და მათი ურთიერთობა 20 წელიწადს გაგრძელდა.

არაერთი ახლობლის სიკვდილს, ფსიქიკურ აშლილობას, დეპრესიასა და გამუდმებულ შიშს გერმანული ბომბდამშენის მიერ მიწასთან გასწორებული ვულფების სახლიც დაემატა. წყვილი სასექსის საგრაფოში გადავიდა. ლეონარდ ვულფი ებრაელი იყო და ყოველ წუთს საფრთხე ელოდათ. ვირჯინიამ ამჯერად ვეღარ გაუძლო და მდინარე უბში დაიხრჩო თავი.

ვირჯინია ვულფი XX საუკუნის ერთ-ერთი ახალი მხატვრული ხერხის, „ცნობიერების ნაკადის“ საუკეთესო ოსტატია, რომლის საშუალებითაც მწერალმა ადამიანის შინაგანი სამყაროს უფრო ღრმა და დაწვრილებითი აღწერა შეძლო, ვიდრე ეს ტრადიციული ლიტერატურული საშუალებებით ხერხდებოდა.

მემკვიდრეობა

ისი მიშტერებოდა იმ მაგიდას, სადაც საბეჭდი მანქანა იდგა და დღიური იდო. ენჯელაზე მოგონებებში გართულმა ნაუცბადევად ვერც კი უპასუხა გილბერტს, სჭირდებოდა თუ არა დახმარება. ამიტომ კაცმა ხელახლა გაუმეორა:

- რას გეგმავთ, მის მილერ?

- ჩემი გეგმები? ოჰ, ყველაფერი კარგადაა, მისტერ კლენდონ! - წამოიძახა ქალმა, - ჩემზე ნუ იღარდებთ.

„ალბათ ის იგულისხმა, რომ ფინანსური დახმარება არ სჭირდება. სჯობს, ამის შესახებ მივწერო“, - გაიფიქრა გილბერტმა.

ახლა რისი გაკეთებაც შეეძლო, ის იყო, რომ ქალს ხელი ხელზე მაგრად მოუჭირა და უთხრა:

- დაიმახსოვრეთ, მის მილერ! ნებისმიერ შემთხვევაში შეგიძლიათ გქონდეთ ჩემი დახმარების იმედი, - და კარი გააღო.

ბღურბლზე მდგარი ქალი ერთხანს შეჩერდა.

- მისტერ კლენდონ, - თქვა და პირველად ჩახედა თვალებში.

კაცი ამგვარმა მიმართვამ ცოტა დააბნია. ქალის თვალებში თანაგრძნობა იკითხებოდა.

- თუკი ოდესმე დაგჭირდეთ ჩემი დახმარება, თქვენი მეუღლის გამო დიდი სიამოვნებით გავაკეთებ ამას, - უთხრა ქალმა და წავიდა. ძალიან მოულოდნელი იყო მისი სიტყვები. თითქოს მართლაც სჭირდებოდა გილბერტს დახმარება.

როდესაც თავის სავარძელს დაუბრუნდა, მოულოდნელმა ფიქრმა გაუელვა. ნუთუ მთელი ამ დროის განმავლობაში, პოეტურად თუ ვიტყვით, ამ ქალს მის მიმართ ვნება ჰქონდა?

კაცმა სარკეში საკუთარ გამოსახულებას შეავლო თვალი. 50 წელს გადაცილებულის კვალობაზე, უნდა აღიაროს, რომ საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

ბებრის ყვავილობა

ქრავალსართულიანი კორპუსის შესასვლელის ბარს ნეტიმ აკანკა-
ლებული ხელი მიაჭირა.

დაბნეული ჩანდა უჩვეულო გარემოში. სადგურიდან მომავალმა ტაქსიმ ისე სწრაფად ჩაუქროლა ფულტონის ქუჩასა და ოპერის სასახლეს, რომ ნეტი თავს ველარ აკონტროლებდა. ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ შემეძლოს, ვინმეს გავუზიარო ის ყოველივე, რაც სან-ხოსედან სან-ფრანცისკოში ჩამოსვლამდე გადამხდა თავსო.

ვაითუ, მარნე და ენი არ დახვდნენ შინ. ვინ იცის, ნაიკითხეს კი ნეტის გამოგზავნილი წერილი? და ალბათ მისი სტუმრობაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ.

ამ ფიქრმა ძალიან მოლაღა. იცოდა, სან-ხოსეში მანამ ვერ დაბრუნდებოდა, სანამ ჩაანაფიქრს არ შეასრულებდა. ამასობაში კარი გაიღო, ნეტი ვესტიბულში შევიდა, საიდანაც მესამე სართულზე აუყვა კიბის საფეხურებს, თუმცა ლიფტიც იქვე იყო.

ნეტი სარკეში იხედებოდა და ხვდებოდა, რომ უკვე მიეღწია ბებრის ყვავილობისთვის. ეს უცნაური სემონი ხომ, ზამთრის შემოტევამდე, ფოთოლცვენით იწყება. სიცივე გარს აკრავს ყოველივეს და ვარსკვლავებიც შავი ხავერდით ელვარებენ ცის კამარაზე. ჰო, ასე დგება სემონი, რომელსაც დასავლეთის ინდიელები ბებრის ყვავილობას ეძახიან.

თვალწინ დაუდგა თავისი განვლილი წლები, დღეები... ეს იყო ცხოვრება არსებობისთვის და ზრუნვა სნეულებზე. ნეტიმ ხომ მთელი ცხოვრება მორჩილებასა და სათნოებაში განვლო. მაგრამ სანამ ამქვეყნიდან წავა, სანამ სიკვდილი მოეახლება, მოკვდება, რას მოიტოვებს უკან?! – ქალოშვილობის წლების მოგონებებს? იმ წლებისას რომელიც დასავლეთის ლამაზ მხარეში გაატარა? დიდი ხნის წინ გარდაცლილ კეთილმეუღლეს თუ ომში დაღუპულ მამაც ვაჟიშვილს?

აიზეკ აზიმოვი



აიზეკ აზიმოვი (1920-1992) რუსი-ამერიკელი ებრაელი ბიოქიმიის პროფესორი, სამეცნიერო-ფანტასტიკური მოთხრობების პოპულარული ავტორი აიზეკ (ისააკ) აზიმოვი რუსეთში დაიბადა, სმოლენსკის ოლქში. სამი წლისა იყო, როცა მისი ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიხვეწა. ბავშვობისას ოჯახის მაღაზიაში მუშაობდა, სადაც ფანტასტიკის ჟანრის ჟურნალები იყიდებოდა და აქედან დაიწყო მისი გატაცება ფანტასტიკით.

ასპირანტურაც დაამთავრა, გემთსაშენშიც მუშაობდა... სამხედრო სამსახურში ყოფნისას ატომური ბომბის გამოცდებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

1948 წლიდან ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორია და სულ მალე მსოფლიოს 14 წამყვანი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად ირჩევენ. სამეცნიერო ნაშრომებს მალე მისი მხატვრული ნაწარმოებები ჩაენაცვლა და რობერტ ჰაინლაინთან ერთად მწერალი ფანტასტების „დიდ სამეულში“ მოხვდა.

აიზეკ აზიმოვი ჰიუგოს, ნებულას, ლოკუსისა და სხვა ლიტერატურული პრემიების არაერთგზის ლაურეატია.

მაგრამ მაინც უიღბლო გამოდგა. 1983 წელს გულის ოპერაცია გაუკეთეს და შიდსის ვირუსი „აჰკიდეს“, რითაც გარდაიცვალა კიდევ...

1997 წელს, სიკვდილის შემდეგ, აიზეკ (ისააკ) აზიმოვის სახელი შეტანილია სამეცნიერო ფანტასტიკისა და ფენტეზის დიდების დარბაზში.

რა კარგი იქნებოდა მაშინ...

შმის შესახებ მარჯიმ იმ ღამეს თავის დღიურშიც კი ჩაწერა. 2157 წლის 17 მაისით დათარიღებულ გვერდზე გოგონამ ჩაწერა: „დღეს ტომმა ნამდვილი წიგნი იპოვა!“

ნაპოვნი წიგნი ძალიან ძველი აღმოჩნდა. ერთხელ მარჯის ბაბუამ ისიც თქვა, რომ როცა პატარა ბიჭი იყო, მისი დიდი ბაბუა უამბობდა, ისეთი დროც ყოფილა, როდესაც ყველა მოთხრობა ფურცელზე იბეჭდებოდა.

ბავშვებიც ფურცლავდნენ თურმე გვერდებს, გაყვითლებულსა და ნაკეციბიანს, წარმოუდგენლად სასაცილო იყო იმ სიტყვების ნაკითხვა, რომლებიც ერთ ადგილზე გაჩერებულიყვნენ და არ მოძრაობდნენ ისე, როგორც უნდა ემოძრავათ. ხომ იცი, როგორაც? – ეკრანზე! და მერე თუ ისევ წინა გვერდს მიუბრუნდებოდნენ, იქ ისევ ის სიტყვები იყო, რომლებიც მანამდე წაიკითხეს!

– ვაი! – წამოიყვირა ტომმა, – რა დასანანია! როცა წიგნის კითხვას მორჩები, შენ მას უბრალოდ გადააგდებ. ჩვენი ტელევიზორის ეკრანის შიგნით ალბათ მილიონი წიგნია და კიდევ ბევრს დაიტევს. მე მას არ გადავაგდებდი!..

– მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა მარჯი.

გოგონა 11 წლისა იყო და იმდენი ტელეწიგნიც არ ენახა, რამდენიც 13 წლის ტომს.

მარჯიმ ჰკითხა ბიჭს:

– სად იპოვე ეს წიგნი?

– ჩემს სახლში! – ისე უპასუხა, რომ გოგონასკენ არც გაუხედავს, რადგან კითხვით იყო გართული, – სხვენზე.

– რის შესახებ არის?

– სკოლის!..

მარჯი აიძრია.

ტომას ვულფი



ტომას ვულფი (1900-1938) - პოპულარული ამერიკელი ჟურნალისტი და XX ს-ის უდიდესი მწერალი. მის სახელს უკავშირდება ამერიკულ ჟურნალისტიკაში აღმოცენებული მიმდინარეობა „ახალი ჟურნალიზმი“.

დაიბადა ვირჯინიის შტატში. დაამთავრა ვაშინგტონისა და ლის უნივერსიტეტი, სადოქტორო ხარისხი კი იელის უნივერსიტეტში დაიცვა ამერიკანისტიკის სპეციალობით. მუშაობა აშშ-ის წამყვანი გაზეთების რეპორტიორობით დაიწყო. მალე ამავე გაზეთებსა („სპრინგფილდ იუნიონი“, „ვაშინგტონ-პოსტი“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“...და ჟურნალებში („ნიუ-იორკ მეგზინი“, „ეს-ქუაირი“...) ჩნდება მისი პუბლიცისტური, მწვავე სტატიები, ასევე დოკუმენტური პროზის ნიმუშები. მოგვიანებით ჟურნალისტი აქვეყნებს რეალისტური, დრამატული სცენებითა და მოვლენებით აღსავსე პროზაულ ნაწარმოებებს, რომლებიც არანაკლებ პოპულარული ხდება..

ტომას ვულფმა სხვადასხვა დროს მოიპოვა ეროვნული ჰუმანიტარული მედალი, წიგნების ეროვნული პრემია, სენტ-ლუისის ლიტერატურული პრემია და სხვ.

შორიდან და... ახლოს

ჩკინიგზის მახლობლად, ერთი პატარა ქალაქის გარეუბანში, ასევე პატარა, კოხტა სახლი იდგა. სახლი სულ თეთრი კედლებითა და მწვანე დარაბებით შეემკოთ. სახლის ერთ მხარეს თვალს შეავლებდით მოვლილ ბაღჩას, რომელსაც ვაზის ხეივანი დასდგომოდა დარაჯად და აგვისტოს ბოლოს ბაღჩეულის არომატს მნიფე ყურძნის სურნელით ავსებდა. სახლს სამი ცადაზიდული მუხა შემოსჯარვოდა, რომელთა უზარ-მაზარი ჩრდილი ზაფხულობით აქაურობას ნამდვილ სამოთხეს ამსგავსებდა. არც სახლის მეორე მხარე დავინწყებოდათ - ათასნაირი ჭრელ-ჭრელი ყვავილები ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებოდნენ. ირგვლივ ყველაფერი სისუფთავის, მყუდროებისა და ყვავილთა სასიამოვნო არომატით გაჟღენთილიყო.

ყოველდღე, შუადღე რომ მოატანდა, 15:00 საათიდან რამდენიმე ნუთში, ერთი პატარა ქალაქიდან მეორეში მიმავალი ჩქარი მატარებელი ამ კოხტა სახლის წინ გაიქროლებდა. თან ხუმრობა ხომ არ იყო, ეს დიდებული მატარებელი ქალაქთან მიახლოებამდე სულის მოსათქმელად სწორედ აქ შეანელებდა სვლას... მერე კი სიჩქარეს თანაბრად უმატებდა სრული სვლისთვის, რის საშუალებასაც ძრავის საუცხოო სისწრაფე იძლეოდა. თითქოს განზრახ, შეუფერხებლად, ძრავის ძლიერი რხევით სწრაფად გაიქროლებდა ელმავალი, რახრახით მიჰყვებოდნენ ვაკონები და შორეულ სივრცეში ჩაიკარგებოდნენ დაპრესილი მძიმე ფოლადის ჩუმი და გამუდმებული დუდუნის თანხლებით, რომელიც შემდეგ ნელნელა მშვიდდებოდა. ერთ მომენტში ძრავის ძლიერი ღრიალი იფეთქებდა და მინდორზე ბოლქვებად განოლილი კვამლიც ღრუბლებისკენ მიიწვდა ხოლმე. მალე ხმაურიც მიწყნარდებოდა და შუადღის მთვლემარე სიმშვიდეს აღარაფერი არღვევდა...

ყოველდღე, უკვე ოც წელიწადზე მეტია, მატარებელი ამ სახლს რომ მოუახლოვდებოდა, მემანქანე სასტვენს ჩაჰბერავდა. ყოველ ჰერზე, როგორც კი ქალი ამ ხმას გაიგონებდა, უმაღვე პატარა სახლის უკანა ვერანდაზე ჩნდებოდა და მემანქანეს ხელს უქნევდა. თავდაპირველად თავისი ნამცეცა გოგონა კაბაზე ჩაბლაუჭებული მოჰყვებოდა, ახლა კი უკვე ქალიშვილი, ისიც, დედის მსგავსად, ყოველდღე აივანზე ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა უცნობი მემანქანისთვის ხელის დასაქნევად.

უილიამ სომერსეტ მოემი



უილიამ სომერსეტ მოემი (1874-1965) – ინგლისელი დრამატურგი, მწერალი, რომანისტი, 1930-იან წლებში მსოფლიოში ყველაზე მაღალ ჰონორარს უხდიდნენ.

დაიბადა საფრანგეთში მცხოვრებ ინგლისელთა ოჯახში. გარეგნობით შეუხედავ მამას ჰგავდა, რასაც ძალიან განიცდიდა. მთელი ცხოვრება ტანჯავდა ულამაზესი დედის ნაადრევად გარდაცვალებაც. ამას ისიც დაემატა, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ინგლისში გაგზავნილს, ისე გაუჭირდა ინგლისურის სწავლა, რომ ენაბლუობა დასჩემდა.

ამ ყოველივეს ხელი არ შეუშლია, ჰაიდელბერგში ფილოსოფია შეესწავლა, ხოლო ლონდონში – მედიცინა. ახალგაზრდობის წლებშივე წარმატება მოიპოვა მისმა პიესებმა და რომანებმა. მალე მისი ნაწარმოებები მსოფლიოში იმდენად პოპულარული გახდა, რომ აღარავის ახსოვდა მისი ენაბლუობა და შეუხედაობა. მეტიც, სომერსეტ მოემს დღესაც არ აკლია მკითხველი.

სტიქროსანი

მ ნაშუადღევს, წმინდა პეტრეს ეკლესიაში, ნევილის მოედანზე, სადაც ნათლობა ტარდებოდა, ალბერტ ედუარდ ფორმანს კვლავ სტიქარი ემოსა. უკვე 16 წელიწადია, რაც ალბერტი ამ ეკლესიის მსახურია. აქვე ხვდა წილად სტიქარი. ამ ხნის განმავლობაში არაერთი სტიქარი შემოაცვდა ტანთ. ისიც უწყოდა, რომ გაცვეთილ სტიქარს ვერ გადაგდებდა. ამიტომაც მოხერხებულად ახვევდა სქელ, ყავისფერ ქალღმერთს და საძინებლის კარადის ქვედა უჯრაში ინახავდა.

სტიქაროსანი მშვიდად ასრულებდა თავის მოვალეობას. გულმოდგინედ აპრიალებდა მარმარილოს ბუდეში ჩასმული კანდელის მოხატულ ზედაპირს, შეუძლოდ მყოფი მოხუცი მლოცველი ქალისთვის სკამი გამოჰქონდა, ელოდებოდა მღვდელს, სანამ ის სამლოცველოდან გამოვიდოდა, რომ მერე იქაურობა მიელაგებინა და ამის შემდეგ შინ წასულიყო. მოულოდნელად, ალბერტ ედუარდმა დაინახა სკამებს შორის გასასვლელთან ანაფორიანი მეუფე, რომელიც მუხლს იყრიდა საკურთხეველთან.

„ნეტავ რაღას უცდის? – გაიფიქრა სტიქაროსანმა, – განა არ იცის, რომ სადაცაა ჩაის დაღვევის დრო მოვა?“

ახალდანიშნული მეუფე წითური სახის, დაახლოებით ორმოც წლამდე ასაკის მამაკაცი იყო, ზედმეტად მკაცრი და საქმიანი იერით. ალბერტ ედუარდი მის წინამორბედ მეუფეს მისტიროდა, ვერ შეგუებოდა მის ჩანაცვლებას. იგი ძველი ყაიდის მღვდელი იყო, წმინდა, განაფული ხმით აუჩქარებლად ქადაგებდა... თავისი მრევლის არისტოკრატ წარმომადგენლებს ხშირად სადილით და გემრიელი ჩაითაც უმასპინძლებოდა.

– არა უშავს, – ჩაილაპარაკა სტიქაროსანმა, – დრო მოვა და ესეც ისწავლის!..

და მაშინ, როცა ქორეპისკოპოსი ეკლესიის გასასვლელიდან გამოვიდა, იმდენად ახლოს მივიდა სტიქაროსანთან, რომ ხმის აუმაღლებლად შეეძლო მისთვის მიემართა. სამლოცველოსთან შეჩერდა და უხმო:

– ფორმან, შეგიძლია ნუთით სამლოცველოში შემოხვიდე? რაღაც მაქვს სათქმელი!